გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 41

2024 წლის 11 მარტი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, სუპერმაკეტის და პურის საცხობის მიმდებარედ, 1 (ერთი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობის“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, სუპერმაკეტის და პურის საცხობის მიმდებარედ, 1 (ერთი) ლოკაციაზე განთავსდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღვუდველი უსწორმასწორობა.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, სუპერმაკეტის და პურის საცხობის მიმდებარედ, 1 (ერთი) ლოკაციაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერი გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, სუპერმაკეტის და პურის საცხობის მიმდებარედ, 1 (ერთი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, სუპერმაკეტის და პურის საცხობის მიმდებარედ, 1 (ერთი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე